საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 56-02
11/01/2017

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში წესრიგის დაცვის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარების წესის დამტკიცების შესახებ

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის“ წესდების მე-18 მუხლის მეექვსე პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ

1. დამტკიცდეს ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში წესრიგის დაცვის ხელშემწყობი ღონისძიებების გატარების წესი” თანდართული სახით.
2. ამ ბრძანების დანართით გათვალისწინებული წესის გამოქვეყნება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე უზრუნველყოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა.
3. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ამ ბრძანების ასლები უნივერსიტეტის იურიდიულ სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს.

გიგა ზედანია

რექტორი